

მზია ცერცვაძე

განკერძობული გარემოება  
რუსულ და ქართულ ენებში

როგორც ცნობილია, განკერძობება ეხება მხოლოდ არამთავარ წევრებს: განსაზღვრებას, გარემოებას, დანართს.

ნაშრომში განხილულია გარემოების განკერძობის საკითხი ქართულ და რუსულ ენებში. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, გარემოების განკერძობება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ერთი გარემოება მიემართება სხვა (წინა) გარემოებას და აზუსტებს მის მნიშვნელობას. გარემოების განკერძობება შეპირობებულია სტილისტური საჭიროებით, რათა იგი აღიჭურვოს მეტი გამომსახველობითი ძალით. რუსულ ენაში განვასხვავებთ განკერძობული გარემოების ორ ჯგუფს: 1) განკერძობული გარემოება, რომელიც მიერთვის მეორე გარემოებას, 2) განკერძობული გარემოება, რომელიც მიერთვის შემასმენელს.

პირველ ჯგუფში გამოიყოფა გარემოების ოთხი ტიპი: 1) ზმნიზედის მეშვეობით გამოხატული მთავარი წევრი (გარემოება) და მისგან დამოკიდებული განკერძობული გარემოება: Там, наверху, мерцал огонек; 2) ზმნიზედით გამოხატული მთავარი წევრი (გარემოება) და დამოკიდებული განკერძობული გარემოება წინდებულისანი სახელით: Теперь, при дневном свете, ущелье уже не оказалось таким мрачным; 3) მთავარი წევრი (გარემოება) გამოხატულია წინდებულისანი სახელით, განკერძობული გარემოება — ზმნიზედით: На морской глади местами, то появлялись, то исчезали какие-то темные предметы; 4) მთავარი წევრი (გარემოება) და დამოკიდებული განკერძობული გარემოება გამოხატული არიან წინდებულისანი სახელით: На берегу реки, под тенью старой ивы, сидела молодая девушка.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: ა) განკერძობული გარემოების არამრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომლებიც გამოხატულია წინდებულისანი სახელით: Город наш украсился, благодаря появлению гражданского правителя, садом (Г. М.д.); ბ) გერუნდივით გამოხატული განკერძობული გარემოება: Ежедневно, вставши с постели с часов в одиннадцать, Ольга Ивановна играла на рояле (Чех. Попр.).

ქართულ ენაში გვხვდება პირველი ჯგუფის განკერძობული გარემოება, თუმცა რუსულისაგან რამდენადმე განსხვავდება: ვინაიდან რუსულის წინდებულის როლს ქართულში ასრულებენ თანდებულები, ამიტომ ქართულში გვაქვს თანდებულისანი ფორმები; გარდა ამისა, ქართულში (ძირითადად ძველ ქართულში) შესაძლებელია განკერძობული გარემოების გამოხატვა სახელის ცალკეული ბრუნვის ფორმით თანდებულის გარეშე: სჯობს, რომ იქ მოკვდე, უკაცურ ადგილსაო (ხალხური), მაშინ როდესაც რუსულისათვის უცხოა ამდაგვარად განკერძობული გარემოების ამგვარი ტიპი.

ამგვარად, რუსული მაგალითების შესაბამისად, ქართულში გვაქვს: ა) იქ, ზემოთ, ცეცხლი ციმციმებდა, ბ) ახლა, დღის შუქზე, ხეობა ისე მოღუშული აღარ გვეჩვენებოდა, გ) ზღვის ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, ხან გამოჩნდებოდა, ხან მიიმალებოდა რაღაც მუქი საგნები, დ) მდინარის პირას, ბებერი წნორის ჩრდილში, იჭდა ახალგაზრდა ქალიშვილი.

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, პირველი ჯგუფის განკერძობული გარემოებისათვის დამახასიათებელია წინა გარემოების აუცილებელი განკერძობება და მისი შინაარსის დაზუსტება. განკერძობული გარემოების აღნიშნულ ჯგუფში რუსულ და ქართულ ენებში გამოიყოფა მნიშვნელობის მიხედვით ადგილის, დროის, იშვიათად ვითარების გარემოებები.

მაგალითები:

ა) ადგილის გარემოება:

1. Здесь, в городе, он по протекции получил место учителя в уездном училище (Чех. Пал. №6, 11).

2. იქ, თავში, ერთ განაპირებულ ადგილას, სარჩობელა გაემართათ (ი. ჯ. სარჩ.).

ბ) დროის გარემოება:

1. Потом, в первом часу, она ехала к своей портнихе (Чех. Попр., 11).

2. ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი, გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა (ი. ჯ. განდ.).

გ) ვითარების გარემოება:

1...Лаптевы отправились туда (на картинной выставке) всем домом по-московски (Чех. Три года).

2. მზე უხვად აფრქვევდა ბრჭყვიალა სხივებს, უანგარიშოდ (ვ. ბარნ. თებერვ. დანიშნ.).

განკერძობული გარემოებების ჯგუფს, რომლებიც შემასმენელს მიერთვიან და გამოხატულია არსებითი სახელით, მიეკუთვნება მნიშვნელობის მიხედვით მიზეზის და დათმობითი გარემოებები.

რუსულში მიზეზის გარემოებას მიეკუთვნება წინდებულებიანი არსებითი სახელით გამოხატული გარემოება: благодаря, вследствие, по случаю, за неимением, за отсутствием, ради... ქართულში კი — წყალობით, გამო, უქონლობის (არყოფნის) გამო, გულისთვის, მიზეზით... თანდებულებით გამოხატული გარემოება.

გარემოების დათმობა რუსულ ენაში გამოიხატება არსებითი სახელით წინდებულებით вопреки, несмотря на, ქართულში — მიუხედავად თანდებულის მეშვეობით

განკერძობული გარემოებიდან რუსულ ენაში ყველაზე გავრცელებულია აბსოლუტივი საქცევით გამოხატული გარემოება. ვინაიდან ეს კატეგორია არაა ქართულში, ამდენად მის გადმოსაცემად მთარგმნელების მიერ გამოიყენება ქართული ენის სხვადასხვა საშუალებები: დამოკიდებული წინადადება, ზმნის პირიანი ფორმები, მიმღეობა, ზმნიზება, არსებითი სახელის ფორმები, შემასმენელი, რა კავშირიანი კონსტრუქცია. ნიმუშად მოვიყვანოთ ლ. ტოლსტოის „ვოსკრესენიის“ თარგმანი (მთარგმნელი უცნობია, გ. ქიქოძის რედაქციით, 1937).

1) აბსოლუტივი გადმოიცემა დამოკიდებული წინადადებით:

Войдя в коридор, она посмотрела прямо в глаза надзирателю (Ч.1, 1) „გამოვიდა თუ არა ტალანში, პირდაპირ თვალებში შეხედა ზედამხედველს“.

2) შემასმენლით:

...сердито сел, доставая папиросу (Т.1) „...გაჩაგრებული დაჯდა და პაპიროსი ამოიღო“.

3) მიმღეობით:

Присяжные встали и теснясь, прошли в совещательную комнату (Т.1,8) „ნაფიცი მსაჯულები ადგნენ და მჭიდროდ შეჯგუფულნი გავიდნენ სათაბირო ოთახში“.

4) დროის გარემოებით:

Живя на квартире, нанятой писателем, Маслоva полюбила веселого приказчика, жившего на том же дворе (1,2) „მწერლის მიერ ნაქირავებ ახალ ბინაში ცხოვრების დროს მასლოვამ შეიყვარა იმავე ეზოში მცხოვრები მზიარული ნოქარი“.

5) ვითარების გარემოებით:

...быстро и тяжело ступая, пошел в соседнюю с спальней уборную (1, 3) „...ჩქარი, მძიმე ნაბიჯით გავიდა საპირფარეოში“.

6) ჩართული სიტყვით:

Тетка... уже не смела предлагать ей поступить в прачки, считая, что она теперь стала на высшую ступень жизни (Т.ж.) „დეიდა... ველარ უბედავდა

მრეცხავის ადგილის შეთავაზებას, რადგან, მისი აზრით, მასლოვა უკვე შემდგარიყო ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე".

7) ცალკეული მიერთებული წინადადებით:

...предложила ей поступить в... заведение, выставляя перед ней все выгоды и преимущества этого положения (1,2) „წინადადება მისცა შესულიყო საროსკიბოში, თანაც დაუსურათა ასეთ დაწესებულებაში მყოფ ქალთა მდგომარეობის უპირატესობა და სარგებლიანობა“.

8) რა ნაწილაკიანი კონსტრუქციით:

....получив утвердительные ответы, распорядился о приводе подсудимых (1,8) „შიიღო რა დადებითი პასუხი, გასცა განკარგულება, რათა შემოეყვანათ ბრალდებულები“.

რა კავშირის შემცველი დამოკიდებული წინადადება დაკავშირებულია მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელთან და ამ თვისებით ის უფრო შეესატყვისება აბსოლუტივის ქცევას. რაც შეეხება დამოკიდებული წინადადების ზოგად მნიშვნელობას, მას კონტექსტი განსაზღვრავს. მაგ., რა კავშირიანი კონსტრუქცია შეცვალოთ დროის, მიზეზის, მიზნის კავშირიანი დამოკიდებული წინადადებით:

ცოდვა აშინებს, ცოდვის ქმნას ერიდება, ფიქრობს რა, ღმერთი დამსჯისო (ვაჟა, პაპას მსოფლიო ფიქრები).

ცოდვა აშინებს, ცოდვის ქმნას ერიდება, რადგან ფიქრობს, ღმერთი დამსჯისო. ლუკ-ოსმალის ჯარი, ნახა რა უბედურებაში თავისი სარდალი, აირია წეროს გუნდივით (ვაჟა, ორი ამბავი მეფე ერეკლეზე...).

ლუკ-ოსმალის ჯარი, როცა ნახა უბედურებაში თავისი სარდალი, აირია წეროს გუნდივით.

ავტორი, ათავებს რა ჭავისებურ გამოკვლევას საქართველოს ერის ძველისძველ ცხოვრებისას, ამბობს... (ილია, აი ისტორია, წერილი 1).

ავტორი, რომ ათავებს თავისებურ გამოკვლევას საქართველოს ერის ძველისძველ ცხოვრებისას, ამბობს...

მაშასადამე, ფიქრობს რა, ნახა რა, ათავებს რა... შეესაბამება რუსულ გერუნდივს: думая, увидев, заканчивая, მაგრამ სრული შესატყვისობა ამ კონსტრუქციებს შორის არაა, ვინაიდან ზმნა ქართულ კონსტრუქციაში იცვლება პირსა და რიცხვში; ასე რომ, ერთი რუსული ფორმა думая შეიძლება შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ფორმით: ვფიქრობ რა, ფიქრობ რა, ფიქრობს რა, ვფიქრობთ რა, ფიქრობთ რა, ფიქრობენ რა. უნდა აღინიშნოს, რომ განხილული კონსტრუქცია გავრცელებული იყო VII-XI საუკუნეებში. XI საუკუნის შემდეგ, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე რა ნაწილაკიანი კონსტრუქცია აღარ გამოიყენება. ამ კონსტრუქციას იყენებენ: ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გვხვდება აგრეთვე თარგმნისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

1) გარემოების განკერძოება დამახასიათებელია როგორც რუსული, ისე ქართული ენებისათვის;

2) განირჩევა განკერძოებული გარემოების ორი ჯგუფი: ა) გარემოებასთან მიერთებული განკერძოებული გარემოება, ბ) შემასმენელთან მიერთებული განკერძოებული გარემოება;

3) ქართულ ენაში აბსოლუტივი გადმოიცემა სხვადასხვა ტიპის დამოკიდებული წინადადებით ან შემასმენელით. რუსულ აბსოლუტივს ქართულში ყველაზე უფრო შეესატყვისება რა კავშირიანი კონსტრუქცია.

## ლიტერატურა

ლ. კვაჭაძე. 1999 - ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1999.

ქ. ფეიქრიშვილი, 1998 - ქ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1998.

ბაბაიცივა ვ.ვ., ლ.უ. მაქსიმოვი. თანამედროვე რუსული ენა. სინტაქსისი, მ., 2000.

## МЗИА ЦЕРЦВАДЗЕ

## ОБОСОБЛЕННЫЕ ОБСТОЯТЕЛЬСТВА В РУССКОМ И ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКАХ

В данной статье рассматривается обособление обстоятельств в русском и грузинском языках в сопоставительном аспекте. В результате исследования сопоставительного материала автор делает следующие выводы:

1. Обособление обстоятельства свойственно как русскому, так и грузинскому языку.

2. Обособленные обстоятельства делятся на две группы: 1) обстоятельства, примыкающие к сказуемому, 2) обстоятельства, примыкающие к обстоятельству.

3. Обособленные обстоятельства первой группы всегда остпозитивны, обособление обязательно, функция их \_ уточнение значения господствующего члена. Различаются 4 типа обособленных обстоятельств рассматриваемой группы

4. Вторая группа обособленных обстоятельств по способу образования делится на две неравномерные подгруппы: 1) обстоятельства, выраженные существительными в сочетании с производными предлогами в русском и с послелогам в грузинском, 2) обстоятельства, выраженные деепричастием (только в русском языке) в грузинском языке категории деепричастия нет.

5. В грузинском языке деепричастие передается различными придаточными предложениями. Ближе всего к русскому деепричастию подходит т.н. конструкция с га- личная форма глагола с постпозитивным союзом -га. Эта конструкция в древнегрузинском языке 10-11 веков была очень распространенная. Со 2-ой половины 16 века эта конструкция выходит из употребления. Эту конструкцию вновь вводят И.Чавчавадзе и Важа Пшавела, грузинские переводчики с русского также прибегают к ней.